ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №7889123

ნომერი: AR11135201

თარიღი : 24.03.2026

გაცემის თარიღი : 21.04.2026

გაცნობის თარიღი : 23.04.2026

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ვლადიმერ ნანეიშვილის ქუჩა, N 11;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარიამ რამიშვილი პ/ნ 01005032248
- თბილისი სლავა მეტრეველის ქ. N 18 ბ. 9

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ საკითხის განსახილველად საჭიროა წარმოადგინოთ შემდეგი:

1. წარმოდგენილი სახით სარეკლამო აბრის მოწყობა სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია. სარეკლამო აბრა მოეწყოს თქვენი კუთვნილი ფართის ფასადზე და არ გასცდეს ფასადს.

2. თქვენს მიერ თავდაპირველად წარმოდგენილ არსებულ ფოტოებში მარჯვენა მხარეს განთავსებული ვიტრინები წარმოადგენდა 4 დანაყოფიან ვიტრაჟს (მომატებული იყო ფართი) და ბეტონიც დასხმული იყო მთავარი შესასვლელი კარის პირამდე, ხოლო ამჟამად წარმოდგენილი არსებული ფოტოებით ვიტრინა წარმოადგენს 2 დანაყოფიან ვიტრაჟს და ბეტონიც არ არის დასხმული კარის პირამდე. აქედან გამომდინარე გაურკვეველია მოხდა მომატებული ფართის და დასხმული ფილის დემონტაჟი? მოთხოვნის ტექსტში განიმარტოს ამის თაობაზე. ასევე გადამოწმებით ირკვევა, რომ თქვენს მიერ ამჟამად არ არის წარმოდგენილი ახალი დღეის მდგომარეობით გადაღებული ფოტოსურათები, მხოლოდ მითითებულია ახალი გადაღების თარიღი. საჭიროა წარმოადგინოთ ახალი დღეის მდგომარეობით გადაღებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები.

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში განახლებული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი. იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება სამსახური უფლებამოსილია აღნიშნული განაცხადი დატოვოს განუხილველი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.